საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

21/03/2023
N 439

439-09-02-11-3-202303211521

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/43, 23.02.2023)**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის 21 მარტის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის და ლაშა სირაბიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/43, 23.02.2023).

I. საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მიმართ წესდება გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების აღწერა, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივებისათვის, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე დამკვიდრებული სპეციალური ინსტრუმენტია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე თანდართულ

განმარტებით ბარათებში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია თუ რა ზეგავლენას იქონიებს კანონპროექტი/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

II. კანონის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

კანონის პროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) შესაბამის სუბიექტებს შენიშვნები და წინადადებები არ წარმოუდგენიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, კანონის პროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. კანონის პროექტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილი და ლაშა სირაბიძის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე